

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა.

გზამკვლევი და ანთოლოგია

რედაქტორები: ირმა რატიანი, გაგა ლომიძე

გამომცემლობა: GCLA Press, 2020

დღეს, როდესაც მსოფლიო დაპატარავდა, სულ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიო ლიტერატურების შედარების ცნება. რა საჭიროა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა? რას ვაძარებთ ერთმანეთს ამ დროს ერთმანეთს? რა გავლენას ახდენს ერთი ლიტერატურა მეორეზე? რა კრიტიკერიუმებით შეგვიძლია ტექსტების შედარება? ამ და არაერთ სხვა კითხვაზე პასუხის ძიებას გთავაზობთ წინამდებარე წიგნი. ესაა საქართველოში ამ დარგში მომზადებული მსგავსი წიგნის გამოცემის პირველი პრეცედენტი, სადაც გაერთიანებულია როგორც ქართველი კომპარატივისტების ნაშრომები, ისე უცხოელი ავტორების ტექსტები. წინამდებარე წიგნი მომზადდა შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერატურის თეორიისა და კომპარატივისტიკის განყოფილების ბაზაზე და მოიცავს შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში როგორც საეტაპოდ მნიშვნელოვან ნათარგმნ ტექსტებს, ისე ქართველი კომპარატივისტების მიერ ამ სფეროში მომზადებულ ნაშრომებს. ანთოლოგიის შესავალ ნაწილში წარმოდგენილია შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ცნების ანალიზი და მისი ისტორია. ასევე, ქართველი მკვლევარების ნაშრომები საქართველოში ამ დარგის განვითარების შესახებ, სადაც განხილულია დარგის ტენდენციები გასული საუკუნიდან თითქმის დღემდე. ასევე, წარმოდგენილია სტატიები დასავლეთში შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ისტორიის და დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

Rewriting Language

How Literary Texts Can Promote Inclusive Language Use

By Christiane Luck

ქრისტიანე ლუკი

ენის ადაპტაცია. როგორ უწყობს ხელს ინკლუზიური

ენის გამოყენებას ლიტერატურული ტექსტები

გამომცემლობა: UCL Press, 2020

ინკლუზიური ენა აქტუალურ თემად რჩება. ენის ადაპტაციის პრაქტიკა საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ შესაძლო პასუხს გვთავაზობს: ამ საკითხით მკითხველების დაინტერესებით ლიტერატურულმა ტექსტებმა შეიძლება მათ ინფორმირებას და უფრო მასშტაბურ ენობრივ ცვლილებებს შეუწყოს ხელი.

ქრისტიანე ლუკი ანალიზებს ხუთ საკულტო ტექსტს ლიტერატურული, ენობრივი და სოციოლოგიური პერსპექტივიდან. ის გვაჩვენებს, როგორ წარმოჩნდება ენობრივ სტატუს-კვოსთან დაკავშირებული საკითხი ურსულა კ. ლე გინის „წყვდიადის მარცხენა ხელსა“ და ვერენა შტეფანის „ცვენაში“. მარჯ პირის „ქალი ზღვარზე“ და ჯუნ არნოლდის „მზარეული და მჭედელი“ არკვევს ენობრივი ნეიტრალიტეტის შესაძლებლობებსა და გამონწვევებს; გერდ ბრანტენბერგის „ეგალიას ქალიშვილები“ ცვლის ენობრივ ნორმებს, რომ ცხადყოს ენასა და წარმოსახვას შორის კავშირი. ფოკუს-ჯგუფის კვლევა ემპირიულად ადასტურებს ამგვარი მიდგომების ეფექტურობას და გვაჩვენებს, რომ ლიტერატურულ ტექსტებს შეუძლიათ მკითხველების სენსიტიურობის გაძლიერება ენაში წინასწარ მოცემული ფორმულირებების მიმართ. ლუკი ასკვნის, რომ განსაკუთრებით განათლების კონტექსტში ლიტერატურული ტექსტები შეიძლება ფასეულ ინსტრუმენტად იქცეს ინკლუზიური ენის გამოყენების პოპულარიზაციის თვალსაზრისით.

Comparative Perspectives on the Rise of the Brazilian Novel

By: Ana Cláudia Suriani da Silva and Sandra Guardini Vasconcelos (editors)

ბრაზილიური რომანის აღორძინების კომპარატივისტული პერსპექტივები

რედაქტორები: ანა კლაუდია სურიანი და სილვა, სანდრა გუარდინი ვასკონსელოსი
გამომცემლობა: UCL Press, 2020

გამოცდილი და ახალგაზრდა მკვლევარების 15 ორიგინალურ ესსეში განხილულია თემებს, ნარატიულ პარადიგმებსა და ხერხებს შორის კავშირები, ბრაზილიელი, ევროპელი და ჩრდილოამერიკელი პროზაიკოსების შემოქმედების შედარების მაგალითზე. ევროპული და ჩრდილოამერიკული რომანები მოიცავს ლიტერატურული ტრადიციებისა და პერიოდების მთელ სპექტრს და ისინი ეხმიანება ბრაზილიაში ამ ჟანრის განვითარებისთვის დამახასიათებელ ტენდენციებს. სხვადასხვა თავში ავტორები გვთავაზობენ მსჯელობას კანონიკური და ნაკლებად ცნობილი ბრაზილიური რომანების შესახებ კომპარატივისტული პერსპექტივიდან: დაწყებული პირველი აფრო-ბრაზილიელი ქალი ავტორის, მარია ფირმინა დოს რეისის რომანით „ურსულა“ (1859), მაჩადო დე ასისის „დონ კასამუროთი“ (1900), ჟოზე დე ალენკარის რომანით „ირაკემა“ (1865) თუ ხულია ლოპეს დე ალმეიდას „გაკოტრებით“ (1901) დამთავრებული.

The Modernist Bestiary. Translating Animals and the Arts through Guillaume Apollinaire, Raoul Dufy and Graham Sutherland

By: Sarah Kay and Timothy Mathews (editors)

**მოდერნისტული ბესტიარია. ცხოველების ინტერპეტაცია და ხელოვნება
გიომ აპოლინერის, რაულ დიუფის და გრეჰემ საზერლანდის მიხედვით**
რედაქტორები: სარა ქეი, ტიმოთი მეთიუსი
გამომცემლობა: UCL Press, 2020

„მოდერნისტული ბესტიარია“ აანალიზებს მულტიმედია პროექტს – „Le Bestiaire ou Cortège d’Orphée“-ს („ბესტიარია, ანუ ორფეოსის კორტეჟი“) (1911), რომელიც ერთობლივად შექმნეს პოლონური წარმოშობის ფრანგმა პოეტმა გიომ აპოლინერმა და ფრანგმა ხელოვანმა რაულ დიუფიმ, ხოლო 1979 წელს ამავე სახელწოდებით ბრიტანელმა არტისტმა გრეჰემ საზერლანდმა გააკეთა ნამუშევარი. ამ ორი კომპოზიციის წარმომავლობის რეკონსტრუქციის ნაცვლად, წიგნში წარმოჩენილია ის ესთეტიკური და ინტელექტუალური პროცესები, რომლებიც სხვადასხვა დროსა და ადგილას, სხვადასხვა საშუალებებით მიმდინარეობდა. აპოლინერისა და დიუფისეული ბესტიარია ღია თანამშრომლობის შედეგია, ხოლო საზერლანდის ნამუშევარში, უბრალოდ, განვითარებულია ეს ხაზი. წიგნში განხილულია, თუ როგორ აღმოჩნდა ეს უგულვებელყოფილი ნამუშევრები ტრადიციებისა და ჟანრების მრავალმხრივ ქსელში ჩართული. მათში გათვალისწინებულია წარსულის ორფიკული პოეტური ტრადიცია, თანამედროვე მუსიკალური ინტერპრეტაციები და ბესტიარიები უძველესი დროიდან დღემდე. წიგნში წინა პლანზეა წამოწეული ნააზრევსა და ხელოვნებას შორის ნაყოფიერი დიალოგის თავისებურება.

Comparing the Literatures

By David Damrosch

დევიდ დამროში

ლიტერატურების შედარება

გამომცემლობა: Princeton University Press, 2020

დღესდღეობით ლიტერატურის კვლევებზე დიდი გავლენა მოახდინა გლობალიზაციის ყოვლისმომცველმა პროცესებმა. ახლა უკვე მსოფლიოში ინგლისურ ენაზე სულ უფრო მეტი ტექსტი ვრცელდება და ნაციონალურ ტრადიციებს სულ უფრო ხშირად გადმოცემენ ტრანსნაციონალური ტერმინებით. ამ გაფართოებული ლიტერატურული სამყაროს ფოკუსში მოქცევის მიზნით, მკვლევარებმა და პედაგოგებმა უნდა განავრცონ თავიანთი ენობრივი და კულტურული რესურსები, გადაიაზრონ მათი სწავლების მეთოდები და ლიტერატურის და კრიტიკის მნიშვნელობა თანამედროვე სამყაროში. ამ კვლევაში დევიდ დამროში აერთიანებს კომპარატივისტულ, პოსტკოლონიურ

და მსოფლიო ლიტერატურის კვლევით პერსპექტივებს და ცდილობს, მოგვანოდოს კომპარატივისტიკის და მისი პერსპექტივების ყოველმხრივი მიმოხილვა დიდი ცვლილებების და შესაძლებლობების ხანაში.

The Drama of Celebrity

By Sharon Marcus

შერონ მარკუსი

პოპულარულ ადამიანებთან დაკავშირებული დრამა

გამომცემლობა: Princeton University Press, 2020

რატომ აინტერესებთ ადამიანებს პოპულარული ადამიანები? ვინ წყვეტს, ვინ გახდება ვარსკვლავი? რა პრივილეგიებით სარგებლობენ ფანები? იმსახურებენ თუ არა პოპულარული ადამიანები იმ მოჭარბებულ ყურადღებას, რომელსაც ისინი იღებენ?

ამ შესანიშნავ და სიღრმისეულ კვლევაში შერონ მარკუსი თავდაყირა აყენებს ყველა იმ შეხედულებას, რაც აქამდე ვიცოდით სახელის მოხვეჭასთან დაკავშირებით.

სამახსოვრო ალბომების, პირადი დღიურებისა და ფანების მიმოწერის ანალიზის ფონზე, მარკუსი იკვლევს ცნობილ ადამიანებთან დაკავშირებული კულტურის გენეზისს მეცხრამეტე საუკუნიდან, როდესაც ადამიანებს ხიბლავდა ცნობილი მზარეულები, ხულიგანი პოეტები და ხელოვანები, როგორც იყო სარა ბერნარი, რომელიც ისეთივე პოპულარული იყო თავის დროზე, როგორც ერთ დროს „ბითლზი“. ცნობილია, რომ ახალგაზრდობაში ბერნარს კუბოში ეძინა ხოლმე, ხოლო ზრდასრულ ასაკში ის გენიოსად აღიარეს. ბერნარი მსოფლიო მასშტაბის სუპერვარსკვლავად მიიჩნიეს, მის პერიოდში ახალი მედიების და ტექნოლოგიების – პოპულარული პრესის, კომერციული ფოტოგრაფიის და მოგზაურობის სწრაფად განვითარებადი ახალი ფორმების – გონივრულად გამოყენების ნყალობით.